სსიპ “სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია”

გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით სასკოლო ავეჯის სახელმწიფო შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაცია

დაფინანსების წყარო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი

(CPV: 39160000)

ბათუმი 2014 წელი

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის 3

2. ტექნიკური დოკუმენტაცია და სხვა მოთხოვნები 4

4. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი 6

5. დამატებითი ინფორმაცია 8

6. დანართი №1, რეკვიზიტები 9

7. დანართი №2 , ფასების ცხრილი 10

8. დანართი №3 საგარანტიო ვადების შესახებ ინფორმაციის ფორმა----------11

1. <u>ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის</u>

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების შესაბამისად.

1.2 ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.3 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია **ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული** (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

1.4 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.5 პრედენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

2. ტექნიკური და სხვა მოთხოვნები

2.1 ტექნიკური მოთხოვნები:

შესყიდვის ობიექტის ტექნიკური მოთხოვნები და რაოდენობა:

დანართი №2

№	საქონლის დასახელება	ტექნიკური მოთხოვნები	განზომილების ერთეული	რაოდენობა	მინიმალური საგარანტიო ვადა (წელი)	მწარმოებელი ქვეყანა
1	2	3	4	5	6	7
1	ერთ ადგილიანი სასწავლო მერხი და სკამი (კომპლექტში)	**აუცილებელი მოთხოვნები:** მაგიდა და სკამი უნდა იყოს დაშლილ მდგომარეობაში, ექსპლუატაციაში არ მყოფი; კარკასი უნდა იყოს მეტალის, არარეგულირებადი; მეტალის კარკასი შეღებილი უნდა იყოს ეკოლოგიურად სუფთა საღებავით; ზედაპირი (მერხის, სკამის საჯდომისა და საზურგის) უნდა იყოს ვერზალიტის (რაზედაც წარმოდგენილი უნდა იქნეს ხარისხის შესაბამისობის სერთიფიკატი); მერხისა და სკამის კონსტრუქცია უნდა იყოს მეტალის მილისებური ან მართკუთხა/კვადრატული პროფილის, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მერხის სათანადო სიმტკიცე და მდგრადობა; სკამის საჯდომი ზედაპირი და საზურგე უნდა ითვალისწინებდეს ბავშვის ფიზიოლოგიურ ფორმას; მერხისა და სკამის ზედაპირი დამზადებული უნდა იყოს ეკოლოგიურად სუფთა მასალისაგან; უსაფრთხოების მიზნით, მერხს და სკამს, ასევე თანმხლებ დეტალებს არ უნდა ჰქონდეს მახვილი კუთხეები და ბოლოები; მერხს უნდა ჰქონდეს, მოსწავლის ჩანთის შესანახი ადგილი მერხის ზედაპირის ქვეშ, რომელიც ხელს არ უნდა უშლიდეს მერხის ნორმალურ ექსპლუატაციას; მერხი და სკამი უნდა იყოს ცალ-ცალკე; მაგიდის - სიმაღლე არანაკლებ 76 სმ, ზედაპირის სიგანე არანაკლებ 45-50 სმ, ზედაპირის სიგრძე არანაკლებ 60-70 სმ. სკამის სიმაღლე არანაკლებ 46 სმ. მერხისა და სკამის ფერი შეთანხმერბით.	ცალი	380	**ორი**	

2.2 სხვა მოთხოვნები:

2.2.1 სატენდერო წინადადების ფასი და სხვა მოთხოვნები:

- სატენდერო წინადადებაში ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.
- სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარებში.
- მიმწოდებელმა საკუთარი ხარჯებით უნდა უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირება (ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №53).

2.2.2 ანგარიშსწორების პირობები:

- მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
- ანგარიშსწორება იწარმოებს მოწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად, მხარეთა შორის გაფორმებული მიღება–ჩაბარების აქტისა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის (სასაქონლო ზედნადების) საფუძველზე.
- ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ ამა წლის 25 დეკემბრამდე.
- საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

2.2.3 მიწოდების ადგილი და ვადები:

- მიწოდების ვადა – საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.
- შესყიდვის ობიექტი მიწოდებულად ჩაითვლება საქონლის შემსყიდველი ორგანიზაციის ტერიტორიაზე მიტანისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
- მიწოდების ადგილი – ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №53.

2.2.4 პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი მონაცემები:

- რეკვიზიტები დანართი №1–ის მიხედვით;
- ფასების ცხრილი დანართი №2–ის მიხედვით;
- ინფორმაცია ანგარიშსწორების პირობებზე;
- ხარისხის დამადასტურებელი შესაბამისობის სერთიფიკატი;
- ინფორმაცია საგარანტიო ვადების შესახებ დანართი №3-ის მიხედვით.

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულება №

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პიროებების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ქ. ბათუმი --- ---------- 2014 წ.

ერთის მხვრივ, სსიპ ,,სასწავლო უნივერსიტეტი-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია'' (შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი მისი ——————————— სახით და მეორეს მხვრივ, ---------- (შემდგომში ,,მიმწოდებელი'') წარმოდგენილი მისი დირექტორის ---------- სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის და პრეტენდენტის (მისი დასახელება) სატენდერო წინადადების საფუძველზე, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო სესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - "ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებულ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3. "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ახორციელებს საქონლის მიწოდებას, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

1.6. ,,საქონელი'' - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სასკოლო ავეჯის (380 ცალი ერთ ადგილიანი მერხისა და სკამის კომპლექტის) მიწოდება.

2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის რაოდენობა და აღწერა მოცემულია ტექნიკურ დავალებაში, ხარჯთაღრიცხვაში (დანართი №2), რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი;

2.3. კლასიფიკატორის კოდი: 39160000.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს ---------- ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისიწნებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო (გადარიცხვა) ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან ამა წლის 25 დეკემბრამდე, სასაქონლო ზედნადების საფუძველზე.

4.3. დაფინანსების წყარო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. „შემსყიდველი" შესყიდვის ობიექტის მიღებას მოახდენს ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

5.2. მიმწოდებლის მიერ ობიექტი მიღებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტზე ხელისმოწერის დღიდან.

5.3. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

5.4. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი <u>თეიმურაზ ტუკვაძე.</u>

6. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

6.1. საქონლის მიწოდების ადგილად განისაზღვრება შემსყიდველის მისამართი.

6.2. საქონლის მიწოდება შემსყიდველისათვის უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

_____ _____

,,შემსყიდველი'' ,,მიმწოდებელი''

7. გარანტია

7.1 მიმწოდებელი ვალდებულია მოახდინოს ყველა გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრა საკუთარი ხარჯებით ან ნაკლის მქონე საქონლის შეცვლა საგარანტიო პერიოდის განმავლობაში. საქონლის საგარანტიო ვადა მოცემულია დანართ №3-ში, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

8.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

8.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი სათანადო ხარისხით და სრული მოცულობით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. მხარეთა მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს საჯარიმო სანქციები, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1 %.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 4%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.4. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 10.3. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ.

10.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი, დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ენა

13.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. ორი ეგზემპლიარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი ეგზემპლიარი ინახება მიმწოდებელთან.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს ხელშეკრულების გაფორმებიდან ----------.

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
---	---

დამატებითი ინფორმაცია

სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტებს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, მის: ქ.ბათუმი რუსთაველის №53, ადმინისტრაცია II სართული. საკონტაქტო პირი: დავით იოსელია ტელ: 27-49-59; მობ: 595 310140; e-mail: purchasing@bsma.edu.ge.

დანართი №1

1. რეკვიზიტები:

პრედენდენტის დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის დასახელება:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიშის ნომერი:__

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ხარჯთაღრიცხვა/ფასების ცხრილი

დანართი №2

№	საქონლის დასახელება	ტექნიკური მოთხოვნები	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	სულ ღირებულება	მინიმალური საგარანტიო ვადა (წელი)	მწარმოებელი ქვეყანა	
1	2	3	4	5	6	7	8	9	
1	ერთ ადგილიანი სასწავლო მერხი და სკამი (კომპლექტში)	აუცილებელი მოთხოვნები: მაგიდა და სკამი უნდა იყოს დაშლილ მდგომარეობაში, ექსპლუატაციაში არ მყოფი; კარკასი უნდა იყოს მეტალის, არარეგულირებადი; მეტალის კარკასი შეღებილი უნდა იყოს ეკოლოგიურად სუფთა საღებავით; ზედაპირი (მერხის, სკამის საჯდომისა და საზურგის) უნდა იყოს ვერზალიტის (რაზედაც წარმოდგენილი უნდა იქნეს ხარისხის შესაბამისობის სერთიფიკატი); მერხისა და სკამის კონსტრუქცია უნდა იყოს მეტალის მილისებური ან მართკუთხა/კვადრატული პროფილის, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მერხის სათანადო სიმტკიცე და მდგრადობა; სკამის საჯდომი ზედაპირი და საზურგე უნდა ითვალისწინებდეს ბავშვის ფიზიოლოგიურ ფორმას; მერხისა და სკამის ზედაპირი დამზადებული უნდა იყოს ეკოლოგიურად სუფთა მასალისაგან; უსაფრთხოების მიზნით, მერხს და სკამს, ასევე თანმხლებ დეტალებს არ უნდა ჰქონდეს მახვილი კუთხეები და ბოლოები; მერხს უნდა ჰქონდეს, მოსწავლის ჩანთის შესანახი ადგილი მერხის ზედაპირის ქვეშ, რომელიც ხელს არ უნდა უშლიდეს მერხის ნორმალურ ექსპლუატაციას; მერხი და სკამი უნდა იყოს ცალ-ცალკე; მაგიდის - სიმაღლე არანაკლებ 76 სმ, ზედაპირის სიგანე არანაკლებ 45-50 სმ, ზედაპირის სიგრძე არანაკლებ 60-70 სმ. სკამის სიმაღლე არანაკლებ 46 სმ. მერხისა და სკამის ფერი შეთანხმერბით.	ცალი	380			ორი		
სულ ჯამი									

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

<u>დანართი N3</u>

საგარანტიო ვადების შესახებ ინფორმაციის ფორმა

ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში მიმწოდებელი მოწოდებული საქონლის ხარისხზე იძლევა მინიმუმ () წელ გარანტიას:

შენიშვნა: საგარანტიო ვადის ათვლა იწყება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან.

ხელმოწერა ——————————— ბ.ა